სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
010.260.020.35.140.000.343

# ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №25

## 2010 წლის 4 აგვისტო

## დ. ასპინძა

## ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულება (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 16 დეკემბრის №79 დადგენილება.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ა.მელიქიძე**

*დანართი №1*

## ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულება

### მუხლი 1. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური

1. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (ტექსტში შემდგომ – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, რეზერვისტთა აღრიცხვისა და მობილიზაციის საკითხებში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამისილებების განხორციელებას.
2. სამსახური საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, გამგეობის დებულების, ამ დებულებისა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
3. სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება გამგეობის საშტატო ნუსხით.

### მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან.
2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის საკითხთა ქვედანაყოფი;

ბ) რეზერვისტთა აღრიცხვისა და მობილიზაციის საკითხთა ქვედანაყოფი.

3. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი (სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება გამგეობის დებულების მე-10 მუხლით, მე-13 მუხლის მე-9 პუნქტითა და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით. უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მისი დავალებით სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს ერთ-ერთი ქვედანაყოფის მოხელე.

4. სტრუქტურული ქვედანაყოფი შედგება ქვედანაყოფების მოხელეებისაგან, რომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით და მოხელეთა სამუშაოთა აღწერილობით.

5. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და სამსახურებრივი კარიერის გავლის წესები განისაზღვრება გამგეობის დებულებით „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

**მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები**

1. სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, რეზერვისტთა აღრიცხვისა და მობილიზაციის საკითხებში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას, კერძოდ:

**ა) წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის საკითხებში:**

– წვევამდელთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, მათ სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას, ახალგაზრდობასთან პატრიოტულ-აღმზრდელობით საქმიანობას, სასწავლო დაწესებულებებში დაწყებითი სამხედრო მომზადების საკითხზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ზედამხედველობის განხორციელებას;

– გამწვევი კომისიების მუშაობის ორგანიზებას, გაწვეულთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში პუნქტუალურად გამოცხადების უზრუნველყოფას;

– სამხედრო აღრიცხვიანობისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის წესების დარღვევების თითოეულ ფაქტზე მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში რეაგირებას.

**ბ) რეზერვისტთა აღრიცხვისა და მობილიზაციის საკითხებში:**

– რეზერვისტთა აღრიცხვისა და მობილიზაციის საკითხების მომზადებას;

– სამობილიზაციო რესურსების (რეზერვის ოფიცერთა, რიგითთა, კაპრალთა, სერჟანტთა და ტექნიკის) აღრიცხვის ორგანიზებას;

– აქტიური, ინდივიდუალური და ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა შერჩევას, მოზიდვას და გაწვეულთა შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში გაგზავნას, რეზერვისტთა სპეციალური აღრიცხვის (დაჯავშნის) ორგანიზებას;

– ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და მათთან გათანაბრებული პირების აღრიცხვასა და მუშაობის ორგანიზებას.

2. მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

**მუხლი 4. სამსახურის საქმიანობის ორგანიზება**

1. სამსახურის საქმიანობის ორგანიზებასა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

**მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 6. დებულების ძალაში შესვლა**

ეს დებულება ძალაშია მისი გამოქვეყნების დღიდან.